



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 466/ს
15/11/2022

466-21-4-202211151439



**ქ. წალკაში, მ. კოსტავას ქ. №52-ში ი/მ ვლადიმირ სიმონოვის ნავთობპროდუქტების
საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

ი/მ ვლადიმირ სიმონოვის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. წალკაში, მ. კოსტავას ქ. №52-ში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია ქ. წალკაში, მ. კოსტავას ქ. №52-ში, 1311 მ² ფართობის მქონე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს ი/მ ვლადიმირ სიმონოვის საკუთრებას (ს/კ: 85.21.26.025). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X- 424386, Y- 4605776. ავტოგასამართი სადგურიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 17,45 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ობიექტიდან 210 მეტრში მიედინება მდ. ხრამი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოეწყობა საწვავმარიგებელი სვეტების ფარდული (ერთი ერთეული ორმხრივ მარიგებელი), მეხამრიდი, ნავთობდამჭერი და წყალშემკრები სისტემა. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე განთავსდება 2 ერთეული საწვავის რეზერვუარი, რომელთაგან 1 ერთეული (10 მ³) განკუთვნილი იქნება ბენზინისათვის, ხოლო 1 ერთეული (10 მ³) დიზელისათვის. თითოეული მათგანი დამზადდება ლითონისაგან, კედლის სისქე იქნება 10 მმ, დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღიჭურვება სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე - 3 მ, დიამეტრი - 0.05 მ). აღნიშნული რეზერვუარები განთავსდება მიწისქვეშა სარკოფაგში, რომელიც მოთავსებული იქნება დატკეპნილი ღორღით მოწყობილ, ჰიდროიზოლირებულ ქვაბულში, ხოლო სიცარიელები შეივსება ღორღით. რეზერვუარიდან ნავთობპროდუქტები, მიწისქვეშა მილსადენების მეშვეობით მიეწოდება მარიგებელ სვეტს, საიდანაც მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა. ობიექტზე საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნის საშუალებით, ხოლო ავზების შევსება ტერიტორიაზე განთავსებული შემავსებელი სვეტის მეშვეობით. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე წლიურად დაგეგმილია 400 მ³ ბენზინისა და 400მ³ დიზელის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი. ობიექტზე დასაქმებული იქნება 3 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება მოხდება სასმელ-სამეურნეო და სახანძრო დანიშნულებით, რისთვისაც წყალსარგებლობა განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობ ბეტონის ორმოში, რომლის დაცლა/გასუფთავება მოხდება შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტის მოედნის გარე პერიმეტრზე მოეწყობა შემკრები არხები, რომელიც დაერთებული იქნება მიწისქვეშა ნავთობდამჭერ ავზთან და საწვავის დაღვრის შემთხვევაში მოხდება მისი ჩადინება ავზში. ავზში წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამის ორგანიზაციას. ვინაიდან, საწვავმარიგებელი სვეტი განთავსდება გადახურულ, ფარდულის ტიპის ნაგებობაში, ასევე ტერიტორია იქნება მობეტონებული, ხოლო გადახურვის გარეთ მოხვედრილი სანიაღვრე წყლები შეგროვდება ავზში, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ავტოგასამართი სადგურიდან 210 მეტრში მიედინება მდ. ხრამი. ვინაიდან, ტერიტორია დაფარული იქნება ბეტონის საფარით, აღიჭურვება ნავთობდამჭერი სალექართა და ნავთობპროდუქტების საცავი განთავსდება ბეტონის მიწისქვეშა სარკოფაგში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ჰიდროსაიზოლაციო ფენით, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და ზედაპირული წყლის ობიექტზე, მდ. ხრამზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, ინერტული (სამშენებლო) და სახიფათო (ნავთობით დაბინძურებული ტანისამოსი, აბსორბენტები, ხელსაწყოები და სხვა) ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერში. საყოფაცხოვრებო და ინერტული (სამშენებლო) ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, სახიფათო ნარჩენები კი შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნასა და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა უმნიშვნელოა და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს. ამასთან, ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ.) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებული იქნება ობიექტის ტერიტორიაზე და იშვიათად გაცდება ავტოგასამართი სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართ სადგურზე ხმაურის გამომწვევი დანადგარების განთავსება და

ექსპლუატაცია არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირებისას ხმაურის კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მცენარეული საფარი. ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო და მიწის სამუშაოების წარმოებასთან, შესაბამისად, მისი მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს არ ფიქსირდება ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტი, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.


ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. წალკაში, მ. კოსტავას ქ. №52-ში ი/მ ვლადიმირ სიმონოვის ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ი/მ ვლადიმირ სიმონოვი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ ვლადიმირ სიმონოვს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ ვლადიმირ სიმონოვის მიერ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წალკის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო